თბილისის არქიტექტურა

ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №1896224

ნომერი: AR1304233

თარიღი : 23.04.2015

გაცემის თარიღი : 18.05.2015

გაცნობის თარიღი : 19.05.2015

შედეგი : თანხმობა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , მოედანი რესპუბლიკა ;

დამკვეთი-განმცხადებელი

- ლევან ძაგნიძე პ/ნ 01024005153
- იოსებიძის 51

ნომენკლატურა :

- I კლასი
- აბრებისა და რეკლამების განთავსება
  ახალი მშენებლობა
- შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა პანდუსის მოწყობა
  რეკონსტრუქცია
- ანტრესოლის, კიბის, ვიტრინის, კარის, ფანჯრის და სხვა ღიობის მოწყობა ან დემონტაჟი
  რეკონსტრუქცია

"მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57 დადგენილების 65-ე მუხლის პირველი პუნქტის თანახმად

გადაწყვეტილება

I კლასი – შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა პანდუსის, ახალი შესასვლელის ინაშვილის ქუჩის მხრიდან და სარეკლამო აბრის მოწყობის შესაძლებლობის დადასტურების თაობაზე.
ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის თბილისის არქიტექტურის სამსახურში განიხილა ქ. თბილისში, ძველი თბილისის რაიონში, რესპუბლიკის მოედანი, შპს "ლიმონი 2009"–ის საკუთრების მიწის ნაკვეთზე, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა პანდუსის, ახალი შესასვლელის ინაშვილის ქუჩის მხრიდან და სარეკლამო აბრის მოწყობის საკითხი.
თქვენს მიერ განსახორციელებელი სამუშაოები თავისი მახასიათებლებით განეკუთვნება I კლასის ობიექტს, რომელსაც არ ესაჭიროება მშენებლობის ნებართვა და რომლის განთავსებაზეც სამსახური გასცემს წერილობით თანხმობას. ''მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ'' საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის N57 დადგენილების თანახმად, სამსახურმა შეამოწმა თქვენს მიერ ელექტრონულად ატვირთული დოკუმენტაციის (ამონაწერი საჯარო რეესტრიდან; რეგისტრაციის N882014543487, 10.10.2014; საკადასტრო კოდი N01.15.04.004.043; საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოს წერილი Nდ/13/12/07, 29.01.2015წ.; ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ ქონების მართვის სააგენტოს წერილი №: QN1291466, 17.04.2015 წ. არსებული სიტუაციის ამსახველი ფოტომასალა, საპროექტო ფოტომონტაჟი) ქალაქთმშენებლობით დოკუმენტებთან შესაბამისობა და ადასტურებს ქ. თბილისში, ძველი თბილისის რაიონში (სექტორი – მთაწმინდა) რესპუბლიკის მოედანი, შპს "ლიმონი 2009"–ის საკუთრების მიწის ნაკვეთზე, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა პანდუსის, ახალი შესასვლელის ინაშვილის ქუჩის მხრიდან და სარეკლამო აბრის მოწყობის შესაძლებლობას. გაითვალისწინეთ, რომ თუ განსახორციელებელი სამუშაოები ეხება შენობა- ნაგებობის მზიდ კონსტრუქციებს, სამშენებლო სამუშაოების დაწყებამდე უნდა მოიპოვოთ შესაბამისი დასკვნა განსახორციელებელი სამუშაოების უსაფრთხოების შესახებ.

ზემოაღნიშნული სამუშაოების ჩატარებისას, დამკვეთი ვალდებულია დაიცვას კანონმდებლობით, მათ შორის, სამშენებლო რეგლამენტებით გათვალისწინებული მოთხოვნები და ნორმები.

სამშენებლო დოკუმენტაციის სისწორეზე პასუხისმგებლობა ეკისრება დამკვეთს და დოკუმენტის შემსრულებელ პირს.

აქვე განგიმარტავთ, რომ ამ წერილით დადასტურებული სამუშაოების დარღვევით წარმოება გამოიწვევს კანონდებლობით დადგენილ პასუხისმგებლობას.

თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი
" თბილისის არქიტექტურის სამსახური"
საქართველო, თბილისი 0160 ჟ. შარტავას 7

ტელ. (+995 32) 272 22 22
ფაქს. (+995 32) 237 82 24
info@tas.ge
უფრო მეტი - tas.ge